ქ. თბილისი

ბრძანება N-45

"22" აპრილი 2015 წ.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 მარტის N32 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ"ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე" სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება „შპს „ოპტიმალ გრუპ + "-ის განცხადების საფუძველზე სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 მარტის N32 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე („კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტზე)" თანდართული სახით.

2. განხილულ შემთხვევაში, დადგინდეს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე" ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.

3. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში, სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული მოთხოვნა ჩამოაყალიბონ შემდეგი ფორმულირებით: „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტებული პირი" ან სხვა იმგვარი ფორმით, რომელიც გამორიცხავს პრეტენდენტთა მიერ ერთი კონკრეტული პირის მიერ გაცემული დასკვნის შეთავაზების მოთხოვნას.

4. კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება ეცნობოს 2014 წლის 17 დეკემბრიდან 2015 წლის 20 აპრილამდე სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომელთა მიერ

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილ სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული მოთხოვნა იწვევს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე" ქვეპუნქტის დარღვევას.

5. სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვოთ, რომ განახორციელონ კანონით ნებადართული ღონისძიებები, რათა კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყონ ასევე მათ მიერ დაფუძნებულმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმაც, რომლებიც ხელმძღვანელობენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. კანონდარღვევის სისტემური და მასშტაბური ხასიათის გათვალისწინებით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილების თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაციების ინფორმირება და აღნიშნულის თაობაზე სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება.

7. საქართველოს მთავრობას წარედგინოს რეკომენდაცია შესაბამის ბაზარზე თანაბარკონკურენტული გარემოს დამკვიდრებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

8. გადაწყვეტილება, მისი დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

9. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

10. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს თავმჯდომარე — გიორგი ბარაბაძე

ასლი სწორია

LEPL AGENCY OF COMPETITION

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2023 წლის 21 აპრილის N03/36 მოხსენებითი ბარათი.